MES 9 23 0001397838

18/10/2023

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

დავით მალაზონია - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
მანანა ჯინჭარაძე - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
პეტრე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, საბჭოს წევრი;
მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
ზვიად გოგუაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
მორის დანდურიშვილი - სსიპ-ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, საბჭოს წევრი;
ეკატერინე კვირიკაშვილი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
ნატო გაბოშვილი - „ახალი სკოლის მოდელის“ მხარდამჭერი პროგრამის მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი, საბჭოს სხდომის მდივანი;
შალვა მეკრავიშვილი - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, საბჭოს წევრი.

2.სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმ ომადგენლები:

ნინო ცხოვრებაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ნათია კვირიკაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მთავარი სპეციალისტი;
ნია გრიგალაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის უფროსი სპეციალისტი;
მარი მგელაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მთავარი სპეციალისტი;
თეა ლილუაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მთავარი სპეციალისტი;
თამარ რატიანიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
თამარ ფიფია- ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

3.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

სსიპ- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯიხაშკარის N2 საჯარო სკოლა:
ასმათი ჯიქია - დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის მოადგილე
ვალერი ზარანდია - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

შპს მწვანე სკოლა- საბურთალო:
ბაკურ სულაკაური - სკოლის დირექტორი

სსიპ - თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ბუშეტის საჯარო სკოლა:
ანნა ჩახნაშვილი - სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

სსიპ - ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ დაბა წაღვერის საჯარო სკოლა:
ირინა ხელისუფალი - სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

სსიპ - ქალაქ თბილისის N159 საჯარო სკოლა:
თამილა გვარამაძე - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

4.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში- ექსპერტები):

სსიპ- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯიხაშკარის N2 საჯარო სკოლა

ა) ია ქურიძე - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
წევრები:
ბ) გოგი თოდუა - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
გ) ირინა გოგონაია - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
დ) ნიკოლოზ გურგენიძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ე) ნინო მოლაშხია - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
ვ) ლია ციცქიშვილი - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
ზ) გიორგი ჩაჩუა - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი

ი) თამარ ოძელაშვილი - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
თ) შაქრო ჟღენტი - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
კ) ალექსანდრე ჩახნაშვილი - სპორტის საგნობრივი ექსპერტი
ლ) ნინო ჭიჭინაძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

სსიპ- გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფის N2 საჯარო სკოლა

ა) ქეთევან ბაცანკალაშვილი - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
წევრები:
ბ) თამარ აბაზაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
გ) ეკატერინე გურგენაშვილი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
დ) ელენე კურდღელია - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ე) ნინო წერეთელი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
ვ) ნაია ენდელაძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
ზ) დიმიტრი პოპოვი - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
თ) სოფიო თავაძე - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
ი) მზია დადვანი - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
კ) საბა დარსაველიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი
ლ) ნათია ბრეგაძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

შპს მწვანე- სკოლა საბურთალო

ა) მაკა ტუკვაძე ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
წევრები:
ბ) ლელა ფიცხელაური - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
გ) თამარ ჩხიკვაძე - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
დ) დავით ბოლქვაძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ე) ნონა ბეროშვილი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
ვ) სალომე არაბიძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
ზ) ვერა გუდაძე - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
თ) ნიკოლოზ ჩუბინიძე - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
ი) ნანა ცინცაძე - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
კ) ალექსანდრე ლაცაბიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი
ლ) მაკა ინაშვილი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

სსიპ- ქალაქ თბილისის N159 საჯარო სკოლა

ა) მამუკა ხამხაძე - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
წევრები:
ბ) მედეა მაქაცარია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
გ) თეა ელერდაშვილი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
დ) მზია კიპაროიძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ე) ნათელა ბასილია - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი

ვ) ნინო ბერიშვილი - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
ზ) გიორგი ტაბუცაძე - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
თ) ლელა კვირტია - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
ი) მანანა შეროზია - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
კ) კობა დეკანაძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი
ლ) ნატო ხაჭაპურიძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

სსიპ- თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ბუშეტის საჯარო სკოლა

ა) გიორგი მომცემლიძე - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
წევრები:
ბ) მაკა ნადარეიშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
გ) ირმა ქურდაძე - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
დ) დავითი ჩივაძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ე) სოფიკო მჭედლიშვილი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
ვ) ეთერ ქუთათელაძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
ზ) თეა ხუროშვილი - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
თ) ნინო ჯახველაძე - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
ი) ციცინო თორია - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
კ) ქეთევან ქობალია - სპორტის საგნობრივი ექსპერტი
ლ) ნინო მახარაშვილი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

სსიპ- ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა წაღვერის საჯარო სკოლა

ა) ლიკა გიორგაძე - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
წევრები:
ბ) მაკა ნადარეიშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
გ) ნინო შუბლაძე - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
დ) მარეხი ჩიკვაიძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ე) ნათია ღოღობერიძე - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
ვ) ლია ციცქიშვილი - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
ზ)თეა ღვინიანიძე - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
თ) მარიამ ჯვარიძე - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
ი) ნინელი ცერცვაძე - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
კ) კობა დეკანაძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი
ლ) ქეთევან ცირეკიძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. საბჭოს სხდომა ჩატარდა 2023 წლის 04 ოქტომბერს ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 16:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით

დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა, საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე -7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. სსიპ - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯიხაშკარის N2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ-გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფის N2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს მწვანე-სკოლა საბურთალოს ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ-ქალაქ თბილისის N159 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ბუშეტის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6.სსიპ-ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა წაღვერის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას, სხდომის დასაწყისში არ ესწრებოდა, საბჭოს მდივანი, მანანა ჯინჭარაძე, აქედან გამომდინარე, საბჭოს თავმჯდომარისა და წევრების გადაწყვეტილებით, აღნიშნულ სხდომაზე საბჭოს სხდომის მდივნად აირჩა, საბჭოს წევრი, ნატო გაბოშვილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. საბჭოს წევრმა, ქეთევან ნატროშვილმა, განაცხადა თვითაცილება სსიპ-თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ბუშეტის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვაში მონაწილეობასთან დაკავშირებით, ვინაიდან იგი ატარებდა ქოუჩინგს აღნიშნულ სკოლასთან. საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს ზემოაღნიშნული.

დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა დააყენა ცენტრის წარმომადგენელმა, კერძოდ, სსიპ - ქალაქ თბილისის N159 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა, მეოთხე საკითხის ნაცვლად, გადანაცვლებულიყო მეექვსე საკითხად. საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობა. აღნიშნულის გათვალისწინებით, დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. სსიპ - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯიხაშკარის N2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ-გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფის N2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს მწვანე-სკოლა საბურთალოს ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

4. სსიპ - თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ბუშეტის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა წაღვერის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ-ქალაქ თბილისის N159 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

1. სსიპ- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯიხაშკარის N2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ, ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს სხდომაზე, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ია ქურიძემ. მისი განცხადებით, სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 9- 10 აგვისტოს, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯიხაშკარში, მერაბ კოსტავას ქუჩა N17 - ში. დაწესებულება ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე, ხოლო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 250 მოსწავლეს.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ ჯგუფი არ დაეთანხმა სკოლის მხრიდან მოთხოვნილ მოსწავლეთა ადგილების ზღვრულ რაოდენობას, რადგან მატერიალური რესურსების გათვალისწინებით, მოცემულ ეტაპზე, დაწესებულებას არ გააჩნდა 250 მოსწავლისთვის საჭირო რესურსი. სასწავლო პროცესის სრულფასოვნად განხორციელებისთვის, დაწესებულებას ვარგის მდგომარეობაში ჰქონდა 100 მერხი.
სკოლაში დასაქმებული იყო 18 მასწავლებელი, რომელთა საათობრივი დატვირთვა შეადგენდა სრულ განაკვეთს ან მასზე მეტს. ექსპერტმა დასძინა, რომ სოფელ ჯიხაშკარში, ასევე მდებარეობდა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯიხაშკარის N1 საჯარო სკოლაც, რომელშიც მოსწავლეთა რაოდენობა, არ აღემატებოდა 80 მოსწავლეს. სტატისტიკურად, მოსწავლეთა კონტიგენტი მიმართული იყო შემცირებისკენ. შესაბამისად, ექსპერტები მიზანშეწონილად მიიჩნევდნენ, დაწესებულების მატერიალური და ადამიანური რესურსის გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულიყო 100 მოსწავლით.
ექსპერტმა, ია ქურიძემ განაცხადა, რომ სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკა აქცენტს აკეთებდა შიდა სასკოლო კონფერენციების მოწყობაზე, რომელსაც ორგანიზებას უწევდნენ მასწავლებლები, ხოლო მოსწავლეები აქტიურად იყვნენ ჩართულნი სხვადასხვა კონფერენციაში.

მასწავლებლების ინიციატივით, სკოლაში ფუნქციონირებდა რამდენიმე კლუბი, როგორებიც იყო: „ნორჩი მკითხველები“, „ცისარტყელა“, „ ნორჩი მოანგარიშე“ და ეკოკლუბი - „დედამიწა ჩვენია“. ექსპერტმა აღნიშნა, რომ კლასის დონეზე დაწესებულებაში ხდებოდა მშობელთა კომიტეტის წევრების არჩევა, რომელიც უზრუნველყოფდა აქტიურ და მჭიდრო კავშირს სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. მშობელთა კომიტეტის წევრები მონაწილეობდნენ სხვადასხვა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების პროცესში და პრობლემის ერთობლივად გადაჭრაში.

ექსპერტმა პრეზენტაციის ფორმატში წარმოადგინა ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასებები, რომლებიც შემდეგნაირად განლაგდა:

პირველი სტანდარტის 1.1. და 1.2. კომპონენტები შეფასდა შეტწილ შესაბამისად, მეორე სტანდარტის სამივე საფეხურის კურიკულუმი შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მესამე სტანდარტის 3.1, 3.3. და 3.4. კომპონენტები შეფასდა მეტწილ შესაბამისად, ხოლო 3.2. კომპონენტი - სრულად. რაც შეეხება მეოთხე სტანდარტის 4.1. კომპონენტს, შეფასდა მეტწილ შესაბამისად, ხოლო 4.2. კომპონენტი - სრულად.

ექსპერტმა პრეზენტაციის მიმდინარეობისას, ასევე წარმოადგინა სკოლის ინფრასტრუქტურის ფოტო-მასალა მაკეტის სახით, რომელიც შექმნილი იყო სასკოლო საზოგადოების მიერ. ია ქურიძემ ყურადღება გაამხვილა მოსწავლეთა მხარდაჭერაზე, კერძოდ, მშობელთა კომიტეტი, რომელიც უზრუნველყოფდა აქტიურ და მჭიდრო კავშირს დირექციას, მშობლებს, მოსწავლეებსა და დამრიგებელს შორის. კარიერული დაგეგმვის მხარდაჭერის სისტემის ფარგლებში, მე-9, მე-10 და მე-11 კლასის დამრიგებლები აქტიურად იყვნენ ჩართულნი მოსწავლეთათვის შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნადი პროფესიების შესახებ ინფორმაციის მიწოდებასა და მოსწავლეთა ინტერესების გამოვლენის ღონისძიებებში. ამ მიზნით, დამრიგებლები ესაუბრებოდნენ მოსწავლეებს, იღებდნენ მათგან ინფორმაციას, თუ ვის, რომელ საფეხურზე სურდა განათლების მიღება, იქნებოდა ეს პროფესიული თუ უმაღლესი განათლება. დამრიგებლები აღნიშნულ ინფორმაციას აწვდიდნენ დირექციას, რომლის საფუძველზეც, ხორციელდებოდა უნივერსიტეტებთან ან/და კოლეჯებთან შეხვედრების ორგანიზება, ადგილზე ვიზიტები და გარემოს დათვალიერება.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა, კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს, თუ რატომ იყო ხელშეკრულებები მხოლოდ მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა ნაწილთან გაფორმებული, რაზეც სკოლამ განაცხადა, რომ აღნიშნული ხარვეზი აღმოიფხვრა და ყველა მშობელთან გაფორმებული იყო ხელშეკრულებები.

საბჭოს წევრი, ზვიად გოგუაძე, დაინტერესდა სკოლაში დასაქმებული იმ პედაგოგით, რომელიც სერტიფიცირებული იყო, თუმცა მას არ ჰქონდა კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი (დიპლომი).ზვიად გოგუაძემ ითხოვა დაზუსტება, თუ რომელი წლიდან იყო ზემოაღნიშნული მასწავლებელი დასაქმებული დაწესებულებაში.

პასუხად, სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პედაგოგი იყო სერტიფიცირებული და სკოლაში დასაქმდა 2019 წელს.

ექსპერტმა, ია ქურიძემ, დაზუსტების მიზნით, განაცხადა, რომ აღნიშნული პედაგოგის პირად საქმეში იდო ცნობა იმის დასტურად, რომ იგი ირიცხებოდა, როგორც დამამთავრებელი კურსის სტუდენტი, თუმცა ამ გარემოების მიუხედავად, მას მინიჭებული ჰქონდა უფროსი მასწავლებლის სტატუსი.

საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა დასვა კითხვა დაწყებითი საფეხურის კურიკულუმთან დაკავშირებით და მიმართა დაწყებითი საფეხურის მიმართულების საგნობრივ ექსპერტს, ვიზიტის პერიოდში შეისწავლა თუ არა მან საგან - ,,მე და საზოგადოების“ საგნობრივი კურიკულუმი.

აღნიშნულ კითხვაზე, დაწყებითი საფეხურის საგნობრივმა ექსპერტმა საბჭოს წევრს მიუგო, რომ ექსპერტების მიერ ვიზიტამდე და ვიზიტის პროცესშიც განხორციელდა დოკუმენტაციის

შესწავლა. რიგი საკითხები დაზუსტდა მასწავლებლებთან ინტერვიუს პროცესშიც, კერძოდ, ექსერტების მხრიდან კურიკულუმების დანართებთან, კომპლექსურ დავალებებსა და შეფასების რუბრიკებთან დაკავშირებით გაიცა რჩევები შემდგომში გამოსწორების მიზნით. საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა, ნიკოლოზ გურგენიძემ, განაცხადა, რომ ინტერვიუირებისას მისი მხრიდანაც გაიცა მკაფიო რჩევები, რათა წარმოდგენილი კურიკულუმები გამხდარიყო სრულყოფილი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯიხაშკარის N2 საჯარო სკოლისთვის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 100 -ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 10
წინააღმდეგი: 1

საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა განმარტა, რომ, ვინაიდან, დაწესებულებას არ ჰქონდა შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნა, შესაბამისად, მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და მათი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, იგი მხარს არ უჭერდა სკოლის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს.

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-4 პუნქტების, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2^1 და მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯიხაშკარის N2 საჯარო სკოლას (ს/კ:220373708) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 100 - ით.

დაწესებულებას მიეცეს უფლება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჯიხაშკარი, კოსტავას ქ.N17
2		საბაზო	ქართული	

	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა			ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჯიხაშკარი, კოსტავას ქ.N17
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჯიხაშკარი, კოსტავას ქ.N17

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2025 წლის ოქტომბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები: პირველი, მეორე (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრაები) მესამე, მეოთხე სტანდარტი.

2. სსიპ- გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფის N2 საჯარო სკოლა

საბჭოს თავჯდომარემ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი. ცენტრის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სკოლის შეტყობინების თანახმად, წარმომადგენლები ვერ ესწრებოდნენ სხდომას, რადგანაც სხდომის მიმდინარეობის დროს ელ ენერგია არ მიეწოდებოდა სოფელს.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ქეთევან ბაცანკალაშვილმა. მან აღნიშნა, რომ სსიპ - სსიპ- გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფის №2 საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 3 და 4 ივლისს. სკოლა მდებარეობდა გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფში. დაწესებულება ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე, ხოლო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა - 600 მოსწავლეს.
ექსპერტმა, ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე და აღნიშნა, რომ სკოლა გამოირჩეოდა მაღალი კვალიფიკაციის მქონე გუნდით, მოწესრიგებული ინფრასტრუქტურითა და მრავალფეროვანი რესურს ოთახით. მისი თქმით, პირველი, მეორე და მეოთხე სტანდარტი შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“ ექსპერტმა აღნიშნა, რომ ხარვეზი დაფიქსირდა მესამე სტანდარტში, კერძოდ კომპონენტი 3.4 იყო მეტწილად შესაბამისი სტანდარტის მოთხოვნებთან.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილი ვადების მიხედვით, რომელიც აღწერილი

იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
საბჭოს წევრმა ეკატერინე კვირიკაშვილმა განაცხადა, რომ შენობის მდგრადობის დასკვნის მიხედვით, სკოლის შენობა არ წარმოადგენდა სეისმურად მდგრად ობიექტს. შესაბამისად, მნიშვნელოვანი იყო, აღნიშნულ საკითხზე ყურადღების გამახვილება. ამასთან დაკავშირებით, ექსპერტმა განმარტა, რომ, ვინაიდან სკოლამ წარმოადგინა შესაბამისი სამსახურის დასკვნა არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, ექსპერტებმა მოცემული საკითხი მიიჩნიეს დაკმაყოფილებულად. საბჭოს წევრმა დასძინა, რომ მიუხედავად სეისმური თვალსაზრისით არსებული შეუსაბამობისა და იმის გათვალისწინებით, რომ სკოლის შენობა არ იყო მდგრადი, სკოლას სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში აღნიშნული საკითხი არ ჰქონდა გათვალისწინებული, ასევე, არ ჰქონდა წარმოდგენილი, თუ ვინ იქნებოდა პასუხისმგებელი პირი აღნიშნულ საკითხზე და რა საშუალებით მოხდებოდა პრობლემის აღმოფხვრა. საბჭომ იმსჯელა სკოლის მიერ წარმოდგენილი მდგრადობის დოკუმენტსა და მის შინაარსზე.
საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ, მიმართა სკოლას და მისცა რჩევა, რომ მნიშვნელოვანი იყო თითოეულ მოსწავლეზე ინდივიდუალურად გამოეცა დაწესებულებას ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი.
საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ- გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფის №2 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 600-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9

წინააღმდეგი - 2

საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა მხარი არ დაუჭირა სსიპ- გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფის №2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს, ვინაიდან სკოლის მიერ წარმოდგენილი შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნაში მოცემული ინფორმაციის საფუძველზე, სკოლის შენობა არ იყო უსაფრთხო და შესაბამისად, მოსწავლეთა დაცულობის თვალსაზრისით, არ მიიჩნია მიზანშეწონილად, შენობაში სასწავლო პროცესის განხორციელება.
საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა მხარი არ დაუჭირა სსიპ - გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფის №2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს, ვინაიდან მას ბევრი პასუხგაუცემელი კითხვა დარჩა იმის გამო, რომ სკოლის არცერთი წარმომადგენელი არ ესწრებოდა საბჭოს სხდომას.

გადაწყვეტილება:
გადაწყვეტილება: „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 პუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2, 2^1 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ- გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფის N2 საჯარო სკოლას (ს/კ:

226528111) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 600 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფელი მარტყოფი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფელი მარტყოფი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფელი მარტყოფი

საბჭოს გადაწყვეტილებით, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია, კერძოდ, 2025 წლის ოქტომბრამდე ცენტრში წარმოადგინა დადასტურებული ანგარიში, იმის თაობაზე თუ რა ღონისძიებებს განახორციელებდა სსიპ- ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნაში მოცემული რისკებისა და საშიშროებების აღმოსაფხვრელად.

საბჭოს მდივანი, მანანა ჯინჭარაძე 17:00 საათზე შემოუერთდა შპს მწვანე-სკოლა საბურთალოს ავტორიზაციის საკითხის განხილვას.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა 17:00 საათზე დატოვა საბჭოს სხდომა.

3. შპს მწვანე - სკოლა საბურთალოს ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მაკა ტუკვაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ შპს მწვანე სკოლა-საბურთალოს საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 31 აგვისტოს და პირველ სექტემბერს. ექსპერტმა აღნიშნა, რომ შპს მწვანე სკოლა საბურთალო ახლად დაარსებული სკოლა იყო, რომელიც მდებარეობდა ქალაქ თბილისში, ბესარიონ ჟღენტის N37 - ში. სკოლის ტერიტორია შეადგენდა 10658 კვ/მეტრს. ავტორიზაციის მინიჭების შემთხვევაში, დაწესებულება განახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე. სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ადგილების ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 1200 მოსწავლე.

ექსპერტმა განაცხადა, რომ პირველი, მეორე და მეოთხე სტანდარტი შეფასდა, როგორც ,,სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს". ხოლო, მესამე სტანდარტი შეფასდა, როგორც ,,ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს", ვინაიდან 3.4 და 3.6 კომპონენტი იყო მეტწილად შესაბამისი სტანდარტის მოთხოვნებთან.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციით წარმოდგინა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა მტკიცებულებებთან ერთად, რის შედეგადაც რიგი ინდიკატორები გადავიდა სრულ შესაბამისობაში, ნაწილი კი - მეტწილ შესაბამისობაში სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

ექსპერტმა, მაკა ტუკვაძემ, აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილი ვადების მიხედვით, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, შენობის მდგრადობის დოკუმენტთან დაკავშირებით კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს, რომელმაც განმარტა, რომ შენობის შესყიდვა მოხდა მიმდინარე წლის იანვარში. შენობის შეძენამდე კომპეტენტური პირების მხრიდან განხორციელდა შენობის დათვალიერება და შეფასება. ავტორიზაციის ექსპერტების ვიზიტამდე სამი კვირით ადრე შენობის მდგრადობის დოკუმენტის მოპოვების მიზნით, სკოლა დაუკავშირდა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს. მისივე განცხადებით, სკოლა მოცემულ დრომდე ელოდებოდა ექსპერტს, რომელიც შეაფასებდა შენობა - ნაგებობის მდგრადობას, რომლის შედეგადაც გაიცემოდა შესაბამისი დასკვნა.

საბჭოს წევრმა, თამარ მამსიკაშვილმა, სკოლის დირექტორს მიმართა კითხვით, მოცემული პერიოდისთვის დასრულებული იყო თუ არა სკოლაში სარემონტო სამუშაოები და რა ვადაში ელოდებოდნენ ექსპერტს შენობის მდგრადობის შესაფასებლად. სკოლის დირექტორმა, ბაკურ სულაკაურმა, აღნიშნა, რომ სკოლაში ყველანაირი სარემონტო სამუშაოები დასრულებული იყო და ექსპერტს სავარაუდოდ 2-3 დღის ვადაში ელოდნენ.

საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ, განაცხადა, რომ დაწესებულება იყო ექსპლუატაციაში შესული შენობა და სკოლის წარმომადგენელს მიმართა კითხვით, რამდენად ენდობოდა ის ე.წ. „შიდა დასკვნას", რომელზე დაყრდნობითაც სკოლამ მოითხოვა ვიზუალური დათვალიერება. აღნიშნულთან დაკავშირებით, თამარ მამსიკაშვილმა, დამაზუსტებელი კითხვით მიმართა სკოლის დირექტორს, საბჭოს მხრიდან ავტორიზაციის მინიჭებაზე დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემდგომ, შეძლებდა თუ არა სკოლა აღნიშნულ კორპუსში სასწავლო პროცესების შეუფერხებლად განხორციელებას. კითხვას სკოლის წარმომადგენელმა დადებითად უპასუხა.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ არსებობდა გარკვეული სტანდარტი, რომლის შესაბამისად, სკოლას მოეთხოვებოდა არა მხოლოდ ვიზუალური დათვალიერების, არამედ სრულფასოვანი გამოკვლევის შედეგად გაცემული დასკვნა. საბჭოს თავმჯდომარემ ხაზგასმით

აღნიშნა, რომ სრულყოფილი დასკვნის გარდა, საბჭო სხვა სახის დასკვნას ვერ მიიღებდა. აღნიშნულთან დაკავშირებით სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სკოლის მხრიდან მოთხოვნა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიმართ იყო ის, რომ შეფასება მომხდარიყო იგივე მოთხოვნებით, რა მოთხოვნებითაც ხდებოდა ნებისმიერი სკოლის შეფასება. ე.წ. „ვიზუალურ დათვალიერებასთან“ დაკავშირებით. მან ასევე დასძინა, რომ ამ სახის შაბლონი სკოლამ ეროვნული ბიუროსგან მიიღო.
საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს მწვანე სკოლა საბურთალოს ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1200-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-4 პუნქტების და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების, შპს მწვანე სკოლა - საბურთალოს (ს/კ : 405632356) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1200 - ით.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქ. თბილისი, ბესარიონ ჟღენტის N37
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქ. თბილისი, ბესარიონ ჟღენტის N37
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქ. თბილისი, ბესარიონ ჟღენტის N37

საბჭოს გადაწყვეტილებით, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია, 3.4. და 3.6. კომპონენტებთან დაკავშირებით, ცენტრში წარმოადგინოს რეკომენდაციების შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებები 2024 წლის სექტემბრამდე.

4. სსიპ - თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ბუშეტის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ, ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, გიორგი მომცემლიძემ.
სსიპ - თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ბუშეტის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 19 და 20 ივლისს. დაწესებულება ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე, ხოლო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 190 მოსწავლეს (ორი ცვლის გათვალისწინებით).
სტანდარტთან შესაბამისობის კუთხით 1.1. და 1.2. კომპონენტი იყო შესაბამისობაში, მესამე სტანდარტი 3.1. და 3.4. კომპონენტი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი სტანდარტი კი ნაწილობრივ შესაბამისად სტანდარტის მოთხოვნებთან, მეოთხე სტანდარტი ორი კომპონენტი იყო შესაბამისობაში, მეორე სტანდარტის თითოეული კომპონენტი იყო შესაბამისობაში.
ექსპერტმა, პრეზენტაციის ფარგლებში ასევე წარმოადგინა სკოლის ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტო- მასალა.
საბჭოს თავმჯდომარემ, მიმართა საგნობრივი მიმართულების ექსპერტებს, მოკლედ აღეწერათ მეორე სტანდართან დაკავშირებული ვითარება და დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
სახელმწიფო ენის საგნობრივმა ექსპერტმა, ნინო ჯახველაძემ განაცხადა, რომ სკოლას შესაბამისობაში ჰქონდა მოყვანილი დაწყებითი და საბაზო საფეხურების კურიკულუმი სტანდარტის მოთხოვნებთან, ხოლო საშუალო საფეხურის კურიკულუმებში იკვეთებოდა მცირედი შეუსაბამობები, რომლებიც გატანილ იქნა რჩევების ნაწილში.
სპორტის საგნობრივმა ექსპერტმა, ქეთევან ქობალიამ, განაცხადა, რომ პედაგოგებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა მათი მაღალი მზაობა არსებული ხარვეზების გამოსწორებასთან დაკავშირებით.
საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა, ირმა ქურდაძემ, დააფიქსირა პოზიცია და აღნიშნა, რომ სკოლას საკმაოდ ორიგინალური და შემოქმედებითი ხედვები ჰქონდა, თითოეულ სასწავლო საკითხთან მიმართებით.
საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ, კითხვით მიმართა სკოლას, თუ რატომ გაწერეს მათ ექიმის შერჩევის ვადად საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდი, კერძოდ, 2024 წლის ივლისი.
სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ხანგრძლივი ვადის განსაზღვრით, მათ თავი დაიზღვიეს, იქვე დასძინა, რომ მათ უკვე გამოაცხადეს ექიმის ვაკანსია და შესაბამისი

კვალიფიკაციის კადრიც აიყვანეს,,რაც შეეხება სახანძრო უსაფრთხოებას, მათ უკვე გაგზავნილი ჰქონდათ წერილი შესაბამის კომპეტენტურ ორგანოსთან

საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა კითხვით მიმართა საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ ექსპერტს და დაინტერესდა, როგორ მუშაობდენ ამ მიმართულებით მასწავლებლები.
აღნიშნული კითხვის პასუხად, საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა დავით ჩივაძემ, განაცხადა, რომ კურიკულემები სკოლის მხრიდან მეტნაკლებად სრულყოფილად იყო წარმოდგენილი, თუმცა დოკუმენტაცია საჭიროებდა სრულყოფას.
საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ბუშეტის საჯარო სკოლის ავტორიზაციის მინიჭებისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 190-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 10

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-4 პუნქტების და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების, სსიპ - თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ბუშეტის საჯარო სკოლას (ს/კ:231263762) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 190 - ით.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	თელავის მუნიციპალიტეტი, სოფელი ბუშეტი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	თელავის მუნიციპალიტეტი, სოფელი ბუშეტი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის	საშუალო	ქართული	თელავის მუნიციპალიტეტი, სოფელი ბუშეტი

	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა			

საბჭოს გადაწყვეტილებით, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია, 2025 წლის სექტემბრამდე 3.4. კომპონენტთან დაკავშირებით, ცენტრში წარმოადგინოს რეკომენდაციების შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებები.

5. სსიპ - ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა წაღვერის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ლიკა გიორგაძემ. მისი თქმით, სსიპ - ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ დაბა წაღვერის საჯარო სკოლაშისაავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 4 და 5 ივლისს. სკოლა მდებარეობდა ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა წაღვერში აღმაშენებლის N25 -ში. დაწესებულება ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე, ხოლო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 350 მოსწავლეს.
ექსპერტის განცხადებით, მოცემულ რაოდენობას არ ეთანხმებოდა ჯგუფი, ვინაიდან სკოლის რესურსების გათვალისწინებით, ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში, დაწესებულებას შესაძლებლობა ჰქონდა საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია მხოლოდ 314 მოსწავლისთვის (დაწესებულების ბალანსზე არსებული სასკოლო მერხებისა და სკამების რაოდენობის მიხედვით).
ექპერტმა აღნიშნა, რომ სკოლას ბალანსზე ჰქონდა ასევე დამატებით ორი შენობის ფართი მიმდებარე სოფლებში, სადაც სასწავლო პროცესი არ მიმდინარეობდა.
ექსპერტის განაცხადებით, ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განახორციელა ადგილზე დათვალიერება და ინტერვიუები. ექსპერტებმა ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამოდ მიიჩნიეს რამდენიმე კომპონენტი, რომლებიც სკოლის მიერ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ შეიცვალა, კერძოდ:
პირველი სტანდარტი შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, თუმცა სტანდარტის მეორე კომპონენტი - 1.2 შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი. მესამე სტანდარტი შეფასდა, როგორც ,,ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ვინაიდან 3.4 და 3.6 კომპონენტები შეფასდა მეტწილ შესაბამისად. რაც შეეხება მეორე და მეოთხე სტანდარტებს, შეფასდა როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.

ლიკა გიორგაძემ აღნიშნა, რომ შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა, დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმასთან ერთად.
მან ასევე დასძინა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილ შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილი ვადების მიხედვით, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა, ხაზი გაუსვა სკოლის შვიდწლიან სტრატეგიული განვითარების გეგმაში მითითებულ მიმართულებებს, კერძოდ, ციფრულ ტრანსფორმაციასა და ინოვაციურობას, როგორც სტრატეგიულ მიზანს, თუმცა გეგმაში არ იყო დაკონკრეტებული მკაფიოდ, თუ რას გეგმავდა სკოლა ამ კუთხით. საბჭოს წევრმა სკოლის წარმომადგენელს სთხოვა დაეზუსტებინა მიზეზი.
სკოლის დირექტორმა, ირინა ხელისუფალმა, აღნიშნა, რომ მოცემული შემთხვევა გამოწვეული იყო ტექნიკური ხარვეზით და მოახდენდა სტრატეგიული გეგმის გადახედვასა და კორექტირებას.
სკოლის დირექტორმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა მოსწავლეთა ადგილების ზღვრულ რაოდენობასთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ მათ ყველა საჭირო ინვენტარი შეიძინეს და მზად იყვნენ 350 მოსწავლის მისაღებად.
სკოლის შუამდგომლობა სრულად გაიზიარეს საბჭოს წევრებმა და ექსპერტებმა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა წაღვერის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 350-ით საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-4 პუნქტების და 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2[1] და მე-3 პუნქტების, 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა წაღვერს (ს/კ: 226157379) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 350- ით.
დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	დაბა წაღვერი, აღმაშენებლის N25
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	დაბა წაღვერი, აღმაშენებლის N25
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	დაბა წაღვერი, აღმაშენებლის N25

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:
მონიტორინგის დაწყების პერიოდი : 2025 წლის ოქტომბრიდან
მონიტორინგის განხორციელების ფორმა : ადგილზე ვიზიტი
მონიტორინგის ფარგლები: მეორე სტანდარტი (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრაები)
რეკომენდაცია: ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭომ გასცა რეკომენდაცია, პირველი სტანდარტის 1.2. და მესამე სტანდარტის 3.4. , 3.6. კომპონენტებით განსაზღვრული დოკუმენტაციის წარმოდგენა მოხდეს ცენტრში 2025 წლის ოქტომბრიდან ან დაწესებულების მიერ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში.

საბჭოს თავმჯომარემ განმარტა, რომ მეორე სტანდარტის მონიტორინგი განაპირობა გარკვეულმა გარემოებებმა, კერძოდ, კურიკულუმების შეფასების სისტემისა და შედეგების ანალიზთან დაკავშირებული საკითხები საჭიროებდა რევიზიას და განვითარებას.

6. სსიპ- ქალაქ თბილისის №159 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, მამუკა ხამხაძემ. მან განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის №159 საჯარო სკოლაშისაავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 15 და 16 ივნისს, ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლა მდებარეობდა ქალაქ თბილისში, თემქის III მ/რ, V კვარტალში. დაწესებულება ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე, ხოლო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 1350 მოსწავლეს (ორი ცვლის გათვალისწინებით).

ექსპერტის განაცხადებით, ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განახორციელა ადგილზე დათვალიერება და ფოკუს ჯგუფებთან ინტერვიუები.
ექსპერტებმა ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამოდ მიიჩნიეს რამდენიმე კომპონენტი, რომლებიც სკოლის მიერ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ შეიცვალა, კერძოდ:
პირველი სტანდარტი შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მესამე სტანდარტი შეფასდა, როგორც ,,ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ვინაიდან 3.1, 3.4 და 3.6 კომპონენტები შეფასდა მეტწილ შესაბამისად. მეორე და მეოთხე სტანდარტი ასევე შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულებას 2015 წელს ჩაუტარდა ნაწილობრივი რეაბილიტაცია. სკოლაში იყო 40 საკლასო ოთახი, განახლებული სველი წერტილები, სპორტული დარბაზი, ბიბლიოთეკა, და რუსურს ოთახი.

მამუკა ხამხაძემ განმარტა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილ შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილი ვადების მიხედვით, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ, კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა აეხსნა, თუ რატომ შეარჩიეს სკოლის ექიმად მეან-გინეკოლოგი და თუ გამოასწორეს მოცემული ხარვეზი ექსპერტთა ვიზიტის შემდეგ.
სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, თამილა გვარამაძემ, პასუხად განცხადა, რომ სკოლამ არაერთხელ გამოაცხადა კონკურსი ექიმის კადრის აყვანასთან დაკავშირებით, თუმცა ვერ მოხდა საჭირო კადრის შერჩევა. ამდენად, დაწესებულებამ დროებით, ვაკანტურ ადგილზე დანიშნა ზემოაღნიშნული კვალიფიკაციის მქონე ექიმი.
საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს სთხოვა დაეზუსტებინა, რა პროცესების განხორციელებას გეგმავდა სკოლა იმისათვის, რომ უზრუნველეყო მეორე სტანდარტთან მიმართებით გაცემული რჩევების შესრულება.
სკოლის დირექტორის მოვალეობის შესრულებელმა, საბჭოს წევრს პასუხად მიუგო, რომ პერსონალი აქტიურად მუშაობდა აღნიშნულ საკითხზე, კერძოდ, ესწრებოდნენ სხვადასხვა ტრენინგს, აგროვებდნენ ინფორმაციას და გამოთქვამდნენ მზაობას სკოლა შესაბამისობაში ყოფილიყო მეორე სტანდარტთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენასსიპ- ქალაქ თბილისის №159 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1350-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრისშედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-4 პუნქტების და 21-ე მუხლის პირველი, მე-2, 2^1 და მე-3 პუნქტების 1 შესაბამისად, სსიპ- ქალაქ თბილისის №159 საჯარო სკოლას (ს/კ: 200042337) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1350 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	თბილისი,თემქის III მ/რ,V კვარტალი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	თბილისი,თემქის III მ/რ,V კვარტალი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	თბილისი,თემქის III მ/რ,V კვარტალი

რეკომენდაცია: საბჭოს გადაწყვეტილებით, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია, 3.4. კომპონენტთან მიმართებით, ორი წლის ვადაში, 2025 წლის ოქტომბრამდე ცენტრში წარმოადგინოს რეკომენდაციების შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებები.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა 20:00 საათზე დახურულად გამოცხადდა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით





სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს სხდომის მდივანი
გაბოშვილი ნატო